აჭარელი ქალების სოციალური და კულტურული ნარატივები შავიზღვისპირეთში

ხათუნა მურადიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
ელ-ფოსტა: khatunamuradishvili@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0000-0003-4415-3079
ირინე ცინცაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
ელ-ფოსტა: tsintsadzeirina9@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0001-5627-3230

აბსტრაქტი. შავიზღვისპირეთი, როგორც გეოპოლიტიკური და კულტუროლოგიური გზაჯვარედინი, ასახავს მრავალსაუკუნოვან ცივილიზაციურ შრეებს, სადაც ტრადიცია და თანამედროვეობა, აღმოსავლეთი და დასავლეთი, ქრისტიანობა და ისლამი მრავალწახნაგოვნად იკვეთება. ამ სივრცეში აჭარელი ქალები წარმოადგენენ უნიკალურ სოციოკულტურულ ფიგურებს, რომლებიც გადმოსცემენ, ინარჩუნებენ და გარდაქმნიან იმ გამოცდილებებს, რაც მჭიდროდ უკავშირდება იდენტობას, მეხსიერებასა და ძალაუფლების ნარატივებს.

ნაშრომი ეფუძნება ისტორიის მეთოდს და აერთიანებს სხვადასხვა თაობის აჭარელი ქალების პერსონალურ ისტორიებს. კვლევა მიზნად ისახავს ქალთა ნარატივების გააზრებას რელიგიური, ოჯახური, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი როლების ჭრილში, რაც აჩვენებს მათ ქვეცნობიერ ბრძოლას გენდერულ სტერეოტიპებთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან და სოციალური ტრანსფორმაციების დინამიკასთან.

ეს ნარატივები არა მხოლოდ ილუსტრაციაა რეგიონული ისტორიისა, არამედ აქტიური კომპონენტია შავიზღვისპირეთის მრავალშრიანი ცივილიზაციური რუკისა. აჭარელი ქალების ხმა გზაჯვარედინზე გვთავაზობს ახალი ხედვის კარს რეგიონის გენდერულ-კულტურული გაგებისთვის.

საკვანძო სიტყვები: შავიზღვისპირეთი, აჭარა, გეოპოლიტიკური რეგიონი, ტრანსფორმაცია

***

შესავალი. შავიზღვისპირეთი ევრაზიის კონტინენტის ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო რეგიონია. მრავალი საუკუნის განმავლობაში ის ერთგვარ დამაკავშირებელ სივრცეს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. აღნიშნული გეოგრაფიული მდებარეობა შავიზღვიზპირეთის ქვეყნებს აძლევდა ეკონომიკური განვითარების უდიდეს შანსებს, რაც ზრდიდა საზოგადოების სოციალურ და მატერიალურ დონეს, თუმცა ამავე დროს სწორედ ეს მდებარეობა უქმნიდა მას უსაფრთოებისა და მშვიდობის მიმართულებით სერიოზულ პრობლემებს. ამავდროულად სტრატეგიული გეოპოლიტიკური რეგიონი ყოველთვის რჩებოდა დიდი სახელმწიფოების სამიზნე და მათი გავლენის გადანაწილების არეალი.

შავიზღვისპირეთი ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური და მრავალფეროვანი სივრცეა, სადაც აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გზაჯვარედინი საუკუნეების განმავლობაში აფორმირებდა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების უნიკალურ ქსელს. საქართველო ამ თვალსაზრისით მეტად მოწყვლადი რეგიონია, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში ახლო თუ შორეული მეზობლების კულტურა, განსაკუთრბით განაპირა, საზღვრის-

პირა მხარეებზე აშკარად და თვალსაჩინოდ ტოვებდა თავის ხილულ კვალს. აქ თითქოს უცხო არაფერია, რადგან მსოფლიო ცივილიზაციები სწორედ მეზობელი სახელმწიფოების კულტურათა გავლენას მუდმივად განიცდიდა, მაგრამ საქართველო გამორჩეული კულტურის მქონე, დამოუკიდებელი ენისა და დამწერლობის მქონე ქრისტიანული ქვეყანა, რომელიც გარემოცული იყო და არის განსხვავებული რელიგიური და საზოგადოებრივი მოწყობის მქონე სახელმწიფოებით. მათი ურთიერთობა განაპირობებს იმ სიჭრელეს რაც ყველაზე მეტ სილამაზეს სძენს საქართველოს და ამავდროულად მოითხოვს ფრთხილ პოლიტიკურ მიდგომებს.

საქართველოში განსაკუთრებულად სამხრეთ დასავლეთის რეგიონები გამოირჩევიან კულტურათა ცივილიზაციის საინტერესო ნაზავით. ჩვენს წინამდებარე თემაში სწორედ ერთ-ერთი ასეთი რეგიონის აჭარის მაგალითზე გვინდა ვისაუბროთ. აჭარა წარმოაჩენს განსაკუთრებული ინტერესის საგანს, რადგან იგი ერთდროულად ასახავს ტრადიციისა და თანამედროვეობის, ქრისტიანული და ისლამური კულტურული მემკვიდრეობის, აგრეთვე გლობალიზაციის პროცესების თანაარსებობას.

აჭარის, როგორც შავიზღვისპირა რეგიონის მნიშვნელოვანი ნაწილის, ისტორია იწყება კოლხეთის ცივილიზაციიდან. იგი ვითარდება ბიზანტიისა და საქართველოს სამეფოების ტერიტორიული ცვალებადობის ფონზე. ამ პატარა კუთხემ მწარედ იწვნია ოსმალეთის მძიმე ბატონობა და ამ ბატონობისაგან თავის დახსნისათვის როგორც "საუკეთესო ვარიანტი" შედის რუსეთის იმპერიაში, აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესებში და განსაკუთრებული დილემის წინაშე დადგა როგორც სასაზღვრო რეგიონი, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო და საჰაერო სასაზღვრო სივრცე. ამ ისტორიულმა ქარტეხილებმა, ჯერ ოსმალეთის იმპერიის, შემდეგ საბჭოთა ოკუპაციის პერიოდებმა სერიოზული პრობლემები შექმნა აჭარის რეგიონში, კულტურული, რელიგიური და სოციალური იდენტობის თვალსაზრისით. მრავალფეროვანი კუთხის მოსახლეობის ინტეგრაცია დედასამშობლოსთან ბევრი ბრძოლის, აჯანყების, დაუმორჩილებლობისა და საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა.

ამრიგად, აჭარა შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს, რომლის სოციალურ და კულტურულ სივრცეში დღემდე თვალსაჩინოდ იკვეთება ისტორიული წარსულის კვალი. ისტორიულმა პროცესებმა რეგიონში მნიშვნელოვნად განსაზღვრა საზოგადოების ცხოვრების წესი, თუმცა ვერ შეარყია აჭარელი მოსახლეობის სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობა. მიუხედავად ოსმალური გავლენებისა, ადგილობრივი მოსახლეობა არასოდეს აღიქვამდა საკუთარ თავს ოსმალური ეროვნების ნაწილად. ამავე დროს, განსხვავებული კულტურული გარემო და მრავალფეროვანი კულტურათაშორისი ურთიერთობები გარდაიქმნა სოციალური ყოფისა და კულტურული განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ინტეგრაციის პროცესის დინამიკას. აღნიშნული პროცესი, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფარგლებში მეტნაკლებად მშვიდ გარემოში წარიმართა.

წინამდებარე სტატია ეყრდნობა ხელმისაწვდომ სამეურნეო და ეთნოგრაფიულ სტატიებს, ადგილობრივ კვლევებს, ნიუანსირებულ ჟურნალისტურ მასალებსა და ექსპერტების ანალიზს. საბოლოო ანალიზში შერჩეულია თემატური ბლოკები: რელიგია და იდენტობა, ოჯახური როლები, ეკონომიკურ-სოციალური ცვლილებები და ქალთა სამოქალაქო აქტივობა.

1. ქალის სოციალური როლის ტრანსფორმაცია აჭარაში

სოციუმის განვითარება ქართულ კულტურაში გაჯერებულია როგორც ევროპული, ასევე აზიური ელემენტებით. ამას ხელი შეუწყო საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მოსაზღვრე ცივილიზაციებმა. ამ კულტურათა ქაოსში ქართველი კაცი ყოველთვის მყარად იდგა ქართულ მემკვიდრეობაზე, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეზობელმა სახელმწიფოებმა გავლენა მოახდინა ქართულ ლექსიკაზე, ჩაცმულობაზე, სოციალურ დიფერენციაციაზე.

სოციუმში სქესთა უთანასწორობა საქართველოში მეტ-ნაკლებად გამიჯნული იყო. თუ შევადარებთ ბევრ მეზობელ ქვეყანას, ნათლად დავინახავთ, რომ საქართველოში ქალის სულ სხვაგვარი კულტურა და დამოკიდებულება არსებობდა, მაგრამ აჭარის ისტორიას თუ გადავხედავთ, სწორედ ზემოთხსენებულმა გავლენამ გარკვეულწილად შეცვალა აჭარელი ქალის სოციალურ-კულტურული ყოფა.

აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ქალის სოციალური როლი დიდხანს განისაზღვრებოდა ტრადიციული ოჯახური იერარქიით. ქალის ადგილი ძირითადად ოჯახისა და შინამეურნეობის მართვასთან იყო დაკავშირებული, რაც მოიცავდა როგორც ბავშვთა აღზრდას, ასევე ოჯახის ეკონომიკური რესურსების სწორ განაწილებას. მიუხედავად მკაფიოდ გამოხატული პატრიარქალური წესრიგისა, ქალს ჰქონდა მნიშვნელოვანი ფუნქცია ოჯახის შიგნით სოციალური ერთობის შენარჩუნებაში და კულტურული ფასეულობების თაობიდან თაობაზე გადაცემაში. რელიგიურმა და კულტურულმა ნორმებმა განსაზღვრა ქალის ქცევის მოდელი, რომელიც საზოგადოებაში ხშირად აღიქმებოდა, როგორც **„დაცვისა და ტრადიციის შემნახველი“**.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში აჭარელი ქალები ისტორიულად აქტიურად იყვნენ ჩართულნი. მათი შრომა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო სოფლის მეურნეობის დარგში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში. ქალის მონაწილეობა ოჯახურ ეკონომიკაში ხშირად გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა, რადგან სწორედ მათი შრომა უზრუნველყოფდა ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებასა და ოჯახის შემოსავლის შენარჩუნებას. დროთა განმავლობაში, ეკონომიკური პროცესების განვითარებასთან ერთად, ქალის როლი თანდათან გაფართოვდა, მათ შორის მცირე მეწარმეობაში, მომსახურების სფეროსა და საგანმანათლებლო საქმიანობაში. ეს ფაქტორი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა საბჭოთა პერიოდში, როდესაც ერთის მხრივ გამოიყო ქალთა პროფესიები, ხოლო მეორეს მხრივ საბჭოთა ეპოქას ჰყავდა ქალი პროფესიით კოსმონავტი. ანუ საბჭოთა პერიოდში, თითქოს იშლება კულტურული დიფერენციაცია, მაგრამ აჭარაში ქალის სოციალური სტატუსი და მისი ყოველდღიური ყოფა მაინც განსხვავებულია.

ქალთა განათლების საკითხი აჭარაში ყოველთვის მნიშვნელოვან სოციალურ გამოწვევად რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული კულტურული ნორმები გარკვეულ შეზღუდვებს აწესებდა ქალთა განათლებაზე, დროთა განმავლობაში შეიმჩნეოდა პროგრესი. დიდი ქართველი განმანათლებლების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაწყებული საგანმანათლებლო საყოველთაობამ დასაბამი მისცა ქალთა განათლების მიღების შესაძლებლობებს, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა ეპოქამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალთა განათლების ხელმისაწვდომობის ზრდაში, რამაც მათ ინტელექტუალურ განვითარებასა და პროფესიულ რეალიზაციას ხელი შეუწყო. განათლება იქცა აჭარელი ქალისთვის არა მხოლოდ ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარების, არამედ სოციალური მობილობის მთავარ წყაროდ. შედეგად, აჭარელი ქალები თანდათანობით გადაიქცნენ ინტელექტუალური და კულტურული ცხოვრების აქტიურ მონაწილეებად, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ როლს თანამედროვე საზოგადოებაში.

დღეს, როდესაც გლობალიზაციისა და მიგრაციის პროცესები უფრო და უფრო ცვლის შავიზღვისპირეთის სოციალურ ლანდშაფტს, განსაკუთრებით აქტუალური ხდება ქალთა ნარატივების კვლევა. ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ ინარჩუნებს ტრადიცია აქტუალობას ახალი სოციალური რეალობის პირობებში, როგორ გარდაიქმნება იდენტობა, და რა როლს თამაშობს ქალი რეგიონული კულტურის მდგრადობასა და განვითარების პერსპექტივებში.

ამგვარად, აჭარელი ქალების გამოცდილება შავიზღვისპირეთში არა მხოლოდ ისტორიული და კულტუროლოგიური ინტერესის საგანია, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური კვლევის სფეროა, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ რეგიონში მიმდინარე ცვლილებების სიღრმე და მიმართულება.

2. აჭარელი ქალის კულტურული ნარატივები

აჭარელი ქალები ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მათი თაობათა შორის გადაცემაში. ოჯახის სივრცეში სწორედ ქალის პასუხისმგებლობა იყო რელიგიური რიტუალების, დღესასწაულებისა და ყოველდღიური ყოფის ტრადიციული წეს-ჩვეულებების დაცვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფოლკლორული მემკვიდრეობა: თქმულებები, ლექსები და სიმღერები, რომელთა გადმოცემაშიც ქალის ხმა და ინტერპრეტაცია არსებითად განსაზღვრავდა კულტურული კოდის გადარჩენას.

რელიგიურ საკითხებში, მათ შორის მუსლიმურ და ქრისტიანულ რიტუალებში, ქალი ხშირად მორალური და სულიერი საყრდენის ფუნქციას ატარებდა, რაც აძლიერებდა მის სტატუსს როგორც ოჯახში, ასევე ფართო საზოგადოებრივ სივრცეში.

შავიზღვისპირეთის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ აჭარა გადააქცია მრავალცივილიზაციური გავლენების შეხვედრის ადგილად. აქ აღმოსავლური და დასავლური კულტურული ტრადიციები ურთიერთქმედებაშია, რამაც ქალის გამოცდილება კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადა. მაგალითად, ოსმალური გავლენები არამარტო რელიგიურ საკითხებში, არამედ ჩაცმის კულტურასა და ყოფით ურთიერთობებშიც აისახა. თუმცა, ამავე დროს, დასავლური კულტურის ტალღამ, განსაკუთრებით განათლებისა და ხელოვნების სფეროში, ქალებს მისცა ახალი შესაძლებლობები საკუთარი სოციალური სტატუსის გასაზრდელად. სწორედ ამ კულტურულ მრავალფეროვნებაში აჭარელი ქალების ნარატივები განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა: **მათში თანაბრად იკითხება ტრადიციის ერთგულება და ცვლილების საჭიროება.**

აჭარაში ქალთა სოციალური და კულტურული ნარატივები თვალსაჩინოდ ასახავს აღმოსავლური და დასავლური ღირებულებების შეხების პროცესს. აღმოსავლური კულტურის გავლენით ქალის როლი ხასიათდებოდა ოჯახისადმი ერთგულებით, მორჩილებით და ტრადიციული იერარქიის მიღებით. ხოლო დასავლური კულტურის ინტენსიური გავრცელებით, განსაკუთრებით განათლების, მიგრაციისა და კულტურული გაცვლის გზით, ქალებში გაძლიერდა დამოუკიდებლობის, პიროვნული თვითრეალიზაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ტენდენცია. ამ ორმხრივმა გავლენამ შექმნა უნიკალური სინთეზი, რომელიც აჭარელ ქალთა სოციალურ ნარატივებს დღემდე განსაზღვრავს.

ქალების მიერ მოყოლილი ისტორიები, მოგონებები და ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილება მნიშვნელოვანწილად ქმნის „ცოცხალი მეხსიერების“ სივრცეს. მათი ნარატივები მხოლოდ პირადი ან ოჯახური ისტორიების გადმოცემა კი არა, არამედ საზოგადოებრივი კულტურის შენარჩუნებისა და ტრანსფორმაციის მექანიზმიცაა. ქალის სიტყვიერად და ქმედებით გადმოცემულ გამოცდილებაში ერთდროულად იკვეთება ტრადიციული ღირებულებები, სოციალური ცვლილებები და ინდივიდუალური ემოციური განზომილებები. ამგვარად, აჭარელი ქალების ნარატივები შეიძლება აღქმულ იქნას როგორც კულტურულ-ისტორიული არქივი, რომელიც აერთიანებს კოლექტიურ მეხსიერებასა და ინდივიდუალურ გამოცდილებას.

3. აჭარელი ქალის თანამედროვე სოციო-კულტურული დინამიკა

თანამედროვე აჭარაში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, გენდერული თანასწორობის საკითხი ერთ-ერთ მთავარ სოციალურ გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ჩარჩოები და სახელმწიფო პოლიტიკა თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს აღიარებს, რეალობაში ქალები ჯერ კიდევ აწყდებიან სტრუქტურულ და კულტურულ ბარიერებს. ტრადიციული სტერეოტიპები ქალის ფუნქციის შესახებ ხშირად ზღუდავს მათ საზოგადოებრივ აქტივობას და პროფესიულ რეალიზაციას. ოჯახის მოვალეობებისა და კარიერული განვითარების შეთავსება ბევრ შემთხვევაში რთულად მისაღწევი აღმოჩნდება, განსაკუთრებით სოფლის თემებში, სადაც განათლების, დასაქმებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობები შედა-

რებით შეზღუდულია. ამდენად, გენდერული თანასწორობა აჭარაში არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ღრმად კულტურულ-სამწუხარო გამოწვევადაც განიხილება.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა აჭარელი ქალების ჩართულობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუ წარსულში მათი როლი ძირითადად ოჯახურ და კულტურულ სივრცეებში იფარგლებოდა, დღეს ქალები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივ თვითმმართველობებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პროცესებში. არასამთავრობო სექტორი მნიშვნელოვანი პლატფორმაა, სადაც ქალები ახერხებენ გენდერული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის დღის წესრიგის წინ წაწევას. მიუხედავად ამისა, წარმომადგენლობის დონე ქალთა ჩართულობა კვლავ დაბალია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა პოლიტიკური გაძლიერება ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პროცესია.

მიგრაცია და გლობალიზაცია აჭარელი ქალების სოციალურ და კულტურულ ნარატივებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს. საერთაშორისო მიგრაციის პროცესებში ქალების ჩართულობა ხშირად უკავშირდება ეკონომიკურ საჭიროებებს, რაც ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ასევე სირთულეებს. ერთი მხრივ, მიგრაციამ ქალებს მისცა ფინანსური რესურსები და პიროვნული თავისუფლების ახალი სივრცე, მეორე მხრივ კი, ოჯახური სტრუქტურის დესტაბილიზაციის საფრთხე და სოციალური იზოლაციის რისკები წარმოშვა. გლობალიზაციის პროცესებმა, განსაკუთრებით კომუნიკაციისა და მედიის სფეროში, გააძლიერა კულტურული გაცვლა და დასავლური ღირებულებების გავლენა, რამაც ხელი შეუწყო ქალთა თვითშეგნების ზრდასა და სოციალურ აქტიურობას. თუმცა, ამავე დროს, გლობალიზაცია მოაქვს კულტურული იდენტობის დილემებსაც ტრადიციული და თანამედროვე ღირებულებების დაბალანსება ქალებისთვის რთულ ამოცანად რჩება.

4. ნარატივების ინტერპრეტაცია

აჭარელი ქალების პირადი ისტორიები მნიშვნელოვანწილად ქმნის „ცოცხალი მეხსიერების“ ქსელს, რომელიც არა მხოლოდ ინდივიდუალური გამოცდილების, არამედ კოლექტიური იდენტობის შენარჩუნებასაც ემსახურება. პირადი ნარატივები ხშირად უკავშირდება ისტორიულ ტრავმებს, სოციალური ცვლილებების პერიოდებსა და კულტურულ გარდაქმნებს. სწორედ ქალების მეშვეობით შენარჩუნდა ოჯახური ისტორია, რელიგიური პრაქტიკები და ყოფითი ტრადიციები, რაც მეხსიერების კულტურას რეგიონში განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს. მათი გამოცდილება იშლება როგორც ყოველდღიურ პრაქტიკებში, ისე ზეპირსიტყვიერ ფორმებში, რომლებიც თაობათა შორის გადაცემით მეხსიერებად ყალიბდება.

ქალთა ნარატივები მნიშვნელოვანი წყაროა სოციალური იდენტობის კონსტრუირების პროცესში. განსხვავებული ისტორიული და კულტურული გამოცდილებების ფონზე, ქალები საკუთარ ცხოვრებას წარმოაჩენენ როგორც მუდმივ ბალანსს ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის. მათი მიერ მოყოლილი ამბები ასახავს არა მხოლოდ ინდივიდუალურ გზას, არამედ სოციალური ჯგუფის საერთო გამოცდილებასაც. ქალის პერსპექტივიდან დანახული ისტორია ქმნის ალტერნატიულ ნარატივებს, რომლებიც ხშირად ავსებს ან ეწინააღმდეგება დომინანტურ, „ოფიციალურ“ ისტორიულ აღწერებს. ამგვარად, ქალის ხმა ხდება სოციალური თვითშეგნების ფორმირებისა და იდენტობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ქალთა ნარატივები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტეგრაციისა და კულტურულ-სამშვიდობო პროცესებში. მათი გამოცდილება აერთიანებს სხვადასხვა რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ გავლენებს, რაც ხელს უწყობს მრავალფეროვანი საზოგადოების შიგნით თანაცხოვრებისა და ურთიერთპატივისცემის გაძლიერებას. ქალის სიტყვიერ და პრაქტიკულ საქმიანობაში იკვეთება ჰარმონიზაციისკენ მიმართული ტენდენცია: ტრადიციების დაცვა, კულტურული მრავალფეროვნების აღიარება და სოციალური დიალოგის მხარდაჭერა. ამ თვალსაზრისით, აჭარელი ქალების ნარატივებს შეიძლება მივანიჭოთ **„კულტურულ-სამშვიდობო**“ ფუნქცია, რომელიც ხელს

უწყობს კონფლიქტების პრევენციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებას.

დასკვნა. აჭარელი ქალების სოციალური და კულტურული ნარატივები ამ ისტორიულ-გეოპოლიტიკურ კონტექსტში გვთავაზობს მრავალშრიან სურათს. ისინი ერთდროულად ითავსებენ თავის თავში გამოცდილებას, რომელიც ფორმირებულია პატრიარქალური ტრადიციების ზეგავლენით და წარმოადგენენ განმათავისუფლებელ რგოლებს თანამედროვე ეპოქაში. ქალთა როლი ოჯახში, ეკონომიკაში, რელიგიურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ასახავს არა მხოლოდ კონკრეტული ინდივიდების გამოცდილებას, არამედ ფართო სოციალური ტრანსფორმაციების ნიშნებსაც.

აჭარელი ქალების სოციალურ და კულტურულ ნარატივების კვლევა მრავალი ასპექტით ხასიათდება, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს მათი ძირითადი როლი როგორც ოჯახის, ასევე ფართო საზოგადოებრივი სივრცის განვითარებაში. ისტორიული და გეოპოლიტიკური ფაქტორების ფონზე, აჭარელი ქალები წარმოადგენენ მრავალფეროვან გამოცდილებას, რომელშიც ერთმანეთს ერევა ტრადიციული ღირებულებები, აღმოსავლური და დასავლური კულტურული გავლენები, თანამედროვე საზოგადოებრივი მოთხოვნები და გლობალიზაციის გავლენა.

კვლევის შედეგად გამოკვეთილია რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

1. სოციალური როლის ტრანსფორმაცია: აჭარელი ქალები, მიუხედავად ტრადიციული იერარქიული წყობისა, აქტიურად მონაწილეობდნენ ოჯახური, ეკონომიკური და განათლების პროცესებში, რაც განსაზღვრავს მათ სოციალურ სტატუსსა და ინტელექტუალურ განვითარების დონეს.

2. კულტურული ნარატივები: ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტრადიციებისა და ფოლკლორის შენარჩუნებაში, ასევე კულტურული მრავალფეროვნებისა და გარდამავალი პროცესების ინტერპრეტაციაში, რაც აძლიერებს კულტურულ თანხმობას და ინტეგრაციას რეგიონში.

3. თანამედროვე სოციოკულტურული დინამიკა: გენდერული თანასწორობა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა, მიგრაცია და გლობალიზაცია ქმნის ახალი შესაძლებლობების და გამოწვევების კომპლექსურ სურათს, რაც ქალების სოციალურ ნარატივებს კიდევ უფრო მრავალშრიანს ხდის.

4. ნარატივების ინტერპრეტაცია: ქალთა პირადი ისტორიები და გამოცდილებები არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური მეხსიერების წყაროს წარმოადგენენ, ხელს უწყობენ სოციალური იდენტობის ფორმირებას და კულტურულ-სამშვიდობო პროცესების მხარდაჭერას.

ამ კონტექსტში, აჭარელი ქალების ნარატივები წარმოადგენს მნიშვნელოვან იდენტობის, კულტურისა და სოციალური თანხმობის გამომწვევ სეგმენტს, რაც აჩენს როგორც სამეცნიერო ინტერესს, ისე პოლიტიკურად და სოციალურად მნიშვნელოვან დასკვნებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია შემოთავაზებულ იქნეს რამდენიმე რეკომენდაცია.

რეკომენდაციები:

- **ნარატივების პლურალიზმი:** პოლიტიკა და კულტურული პროგრამები უნდა აღიარებდნენ აჭარელი ქალების ნარატივების პლურალიზმს (როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური ალტერნატივები).
- **მემკვიდრეობის ინიციატივები:** აჭარის მუზეუმებმა და ტურისტულმა პროექტებმა, სამეურნეო და კულტურული მასალების დემონსტრირებით,კიდევ უფრო ფართოდ უნდა წარმოაჩინონ რეგიონის ისტორიული მრავალწახნაგობა.
- **სოციალური ხელშეწყობა დასაქმებისთვის:** ადგილობრივი პოლიტიკა უფრო მეტად უნდა იყოს მიმართულიყო ქალთა შესაძლებლობების ზრდაზე, პროფესიული გადამზადებისა თუ ტურიზმის/სერვისების სექტორში ქალთა მხარდაჭერის მიმართულებაზე;

- **გენდერული ინსტიტუციების გაძლიერება:** აჭარის გენდერული საბჭოებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის მტკიცე მონიტორინგი და რესურსების გაზრდა.

ამრიგად, აჭარელი ქალების ნარატივები მოდელირებულია მრავალსისტემური გავლენებით: ისტორიული (ოსმალური მემკვიდრეობა), საბჭოური (ათეისტური პოლიტიკა და ინტეგრაციული მიდგომები), და დღევანდელი სოციოეკონომიკური რეალობით (ტურიზმი, ურბანიზაცია). ყოველდღიური ცხოვრების დონეზე ქალები ინარჩუნებენ და გარდაქმნიან ტრადიციებსა და პრაქტიკებს, რათა შეინარჩუნონ ოჯახური და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციები. აღნიშნული მდგომარეობა დასტურდება როგორც ეთნოგრაფიული ქვეტექსტებით, ასევე ახალგაზრდა კვლევებითა და რეგიონალურ ანგარიშებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

აჭარის ხილული და უხილავი საზღვრები**.** (n.d.). *Social Justice*. Retrieved from http://socialjustice.org.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა. (n.d.). *ნარკვევები და ადგილობრივი პუბლიკაციები: „ქორწილი აჭარაში"; აჭარის ტურიზმის სახელმძღვანელო/მუზეუმური პოსტები*. Retrieved from http://kartuli.kvira.ge

Darieva, T. (2023). *Claiming the city: Muslim faith-based activism as 'lived ...'* [სტატიული ანალიზი ბათუმში მუსლიმური აქტივიზმის შესახებ]. Taylor & Francis Online.

Rivera, R. R. (2022). *Memory, history, and time in Adjara, Georgia* [დისერტაცია/ანგარიში]. escholarship.org.

Transparency International Georgia. (n.d.). *ანალიზი აჭარის გენდერული საბჭოს მუშაობის რეგიონის საკითხებზე*. Retrieved from https://transparency.ge

Women in Georgia: Trace of Islam. (n.d.). *International Journal of Social Sciences and Humanities (IJSSH)*. Retrieved from http://ijssh.net

ვინერჰოლმ, კ., აბაშიძე, თ., & ჟვანია, ი. (2012). *გენდერული პოლიტიკა*. თბილისი: GFSIS & SIPU.

სუმბაძე, ნ. (2008). *გენდერი და საზოგადოება - საქართველო*. თბილისი: UNDP

ხომერიკი, ლ. (2006). *გენდერი და პოლიტიკა*. თბილისი.

კიკნაძე, თ., & დონაძე, ნ. (2006). *გენდერი-სოციალ-პოლიტიკური სწავლებანი*. თბილისი.

UNDP. (2008). *გენდერი და საზოგადოება: საქართველო* [ანგარიში მომზადდა და გამოიცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „გენდერი და პოლიტიკა" ფარგლებში]. თბილისი: UNDP.

საბედაშვილი, თ. (2006). *ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები*. თბილისი.

წერეთელი, მ. (2006). *გენდერი-კულტურული და სოციალური კონსტრუქტი*. თბილისი.